# ქულა იხსნა გავაშელმა

მოსკოვი. “დინამოს” ცენტრალური სტადიონი. 24 სექტემბერი.

ცსკა _ “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

ცსკა: კუდასოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, ბაგრიჩი, კაპლიჩნი, პანოვი, შულიატიცკი, პატრიკეევი (უტკინი), მასლიაევი, ფედოტოვი, იუშკა.

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ასათიანი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ნოდია, მესხი (გავაშელი).

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

ქუთაისის ტორპედოელებთან მარცხის შემდეგ თბილისელებთან მატჩს არმიელთათვის ერთგვარი რეაბილიტაციის ელფერი დაჰკრავდა და მოსკოველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საუცხოოდ ითამაშეს ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან.

ბრძოლამ თავიდანვე უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, სახიფათო მომენტების შექმნის მხრივ კი სტუმრები სჯობდნენ მეტოქეს. მე-19 წუთზე ასათიანმა ხელიდან გაუშვა გოლის გატანის ნაღდი შანსი, ხოლო ორჯერ კუდასოვის კარი იხსნა... ძელმა. არმიელთა შეტევები უმეტესად “დინამოს” საჯარიმო მოედნის მისადგომებთან იფუშებოდა, ვინაიდან მათ ყველაზე აქტიურ თავდამსხმელებს ფედოტოვსა და იუშკას ფხიზლად დარაჯობდნენ ხურცილავა და ცხოვრებოვი. გუნდები შესვებენაზე წავიდნენ, როცა ტაბლო 0:0-ს უჩვენებდა.

თამაშის განახლების შემდეგ თბილისელებმა ძალიან სახიფათოდ შეუტიეს არმიელთა კარს, მაგრამ პირველი ბურთი სწორედ სტუმართა კარში აღმოჩნდა: ცსკა-ს თავდამსხმელებმა კარგად გამოიყენეს “დინამოს” მცველთა შეუთანხმებელი მოქმედება, მერე ბურთს დაეუფლა წინა ხაზზე გასული ისტომინი, რომელმაც მოულოდნელად ძლიერად დაარტყა კარში. კოტრიკაძის თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა _ 1:0.

გატანილ ბურთს თბილისელთა რიგებში არევდარევა არ შეუტანია. დინამოელებმა კიდევ უფრო აქტიურად და მონდომებულად შეუტიეს არმიელთა კარს. გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა ჯერ ნოდიას, მერე მეტრეველს, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები უხეირო იყო, თანაც კუდასოვმა რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. მაგრამ 75-ე წუთზე მან ვერ შეძლო მარჯვენა ფლანგიდან ძლიერად დარტყმული ბურთის ხელში ჩაგდება და იქვე გაჩენილმა გავაშელმა წონასწორობა აღადგინა 1:1. თბილისელთა ამ კომბინაციაში ძალიან მახვილგონივრულად ითამაშა კუტივაძემ.

დარჩენილ დროში გუნდები ერთგვარი სიფრთხილით თამაშობდნენ, თუმცა არმიელებმა “დინამოს” კართან ორი ძალიან სახიფათო მომენტი შექმნეს კუთხური მოწოდების შედეგად.

**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**
**“ლელო”, 26 სექტემბერი, 1967 წ.**